აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმების შეფასება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

ნათია მირიანაშვილი-ერენ

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე უმაღლესი განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება

უმაღლესი განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ჯიბლაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია მირიანაშვილი-ერენ

27/01/2020

აბსტრაქტი

ბოლო ათწლეულში მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებმა ქვეყნების განათლების სისტემაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა. თანამედროვე მიდგომებმა განათლებაში და საქართველოს ინტერნაციონალიზაციისკენ სწრაფვამ აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების საკითხები აქტუალური გახადა. თავისმხრივ, ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო რესურსების გაფართოებას, აკადემიური როლებისა და პასუხისმგებლობების გამრავალფეროვნებას, რამაც შექმნა ახალი უნარების განვითარების საჭიროება.

მოცემული ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმების შესწავლაზე, ვინაიდან მათი როლი ქვეყნის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებისთვის მნიშვნელოვანია. განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიაში (2017-2021) აღნიშნულია აკადემიური პერსონალის მნიშვნელობა კვლევებისა და ცოდნის გაძლიერებისთვის, საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილებისთვის და უმაღლესი განათლების პროგრამების შექმნისთვის ადგილობრივი და საერთაშორისო შრომითი ბაზრის დასაკმაყოფილებლად. მიუხედავად ამისა, საქართველოში საკმარისად არ არის შესწავლილი აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

მოცემული კვლევის მიზანია შეაფასოს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. ილიაუნი კვლევითი საქმიანობის, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მხრივ მოწინავე ადგილს იკავებს საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებს შორის. აქედან გამომდინარე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკის მაჩვენებლად მივიჩნიეთ აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების კუთხით. აქედან გამომდინარე, ჩატარებული კვლევის შედეგები საინტერესო იქნება როგორ ილიაუნის, ისე საქართველოს სხვა უმაღელესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვისაც.

კვლევისთვის მიზნობრივად შეირჩა ილიაუნის იმ სამსახურისა და ცენტრის წარმომადგენლები, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები მოიცავს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ილიაუნის ხუთი სამსახურისა და „აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის“ წარმომადგენლებმა. ინფორმაციის შეგროვება მოხდა თვისებრივი მეთოდებით და ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები მაღალი რგოლის მენეჯერებთან. მეორადი მონაცემების შეგროვება განხორციელდა ე.წ. Desk study-ის მეთოდით.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ილიაუნიში აკადემიური პერსონალისთვის პროფესიული განვითარების ხელშემწყობი სერვისები მეტნაკლებად დანერგილია სისტემური სახით, თუმცა არსებობს გარკვეული ფინანსური, ბიუროკრატიული თუ შიდა ინსტიტუციური გამოწვევები, რაც მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის მათი განვითარებისთვის.

საძიებო სიტყვები: აკადემიური პერსონალი, პროფესიული განვითარება, მუდმივი პროფესიული განვითარების მოდელები.

Abstract

World globalization processes over the last decade have had a significant impact on the education system worldwide. Modern approaches to education and Georgia's aspiration to be part of internalization processes have made the issues of professional development of academic staff important. On the other hand, the development of technology has contributed to the expansion of resources, the diversification of academic roles and responsibilities, and has created demand for advanced skills.

This paper focuses on the study of professional development mechanisms for academic staff, since their role is very important for bringing the country closer to the European educational area. The Unified Strategy for Education and Science (2017-2021) highlights the importance of academic staff for enhancing research and knowledge, meeting international standards, and creating higher education programs to meet the demand of local and international labor markets. However, the professional development mechanisms of academic staff in higher education institutions are not sufficiently studied in Georgia.

The purpose of this study is to evaluate the professional development mechanisms for academic staff at Ilia State University. Iliauni holds the leading position among Georgian universities in terms of research, involvement in international projects and exchange programs. Therefore, we considered Ilia State University as one of the best examples in terms of professional development of academic staff. However, the results of the survey can serve the interest of Ilia State University as well as other higher education institutions in Georgia.

The study targets representatives of the Ilia State University's offices and canters, whose roles and responsibilities include the professional development of academic staff. Information was collected using qualitative method, in-depth interviews were conducted with senior managers. Representatives of the five departments of the university and the Center for Academic Staff and Teacher Development participated in the study. Secondary data collection was carried out using Desk study method.

The results of the study showed that support services for the professional development of academic staff are more or less systematically implemented at Iliauni. However there still are

some financial, bureaucratic or internal institutional challenges that pose a significant barrier for staff development.

Search Keyword: Academic Staff, Professional Development, Continuing Professional Development Models

მადლობა

უპირველეს ყოვლისა, ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი სამეცნიერო ხელმძღვანელს ქალბატონ ელენე ჯიბლაძეს.

მადლობა მინდა გადავუხადო იმ პროფესორებს, რომლთაგანაც მივიღე რეკომენდაციები სამაგისტრო ნაშრომის შუალედური მოსმენის დროს.

ასევე მადლობას ვუხდი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებს, რომლებიც მონაწილეობდნენ კვლევაში და დამითმეს დრო ინტერვიუებისათვის.

მადლობა ჩემს ოჯახის წევრებსა და მეგობრებს თანადგომისთვის. განსაკუთრებით მარიამს, რომელიც მუდმივად მზად იყო გვერდში დგომისთვის.